

# მარიამ მიხეილის ასული საფაროვა-აბაშიძისა

მარიამ საფაროვა-აბაშიძის არქივი საინტერესო მასალას გვანდის ამ დიდებულ ქალბატონზე, როგორც რევოლუციამდელი ქართული თეატრის ერთ-ერთ ფუძემდებელზე.

მე-XIX საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევარი და 70-იანი წლები, ქართული კულტურული ცხოვრების ამოძრავების ხანა გახდა. სწორედ ამ დროს იბადება მუდმივი ქართული თეატრის დაარსების იდეა. მაგრამ ეს ძალიან რთული საქმე აღმოჩნდა. დიდი ხელშეშლა იყო სცენისმოყვარეთა ოჯახების მხრივ (განსაკუთრებით ქალებისთვის); მაშინდელი პატრიარქალური კარჩაკეტილობისა და თეატრზე ცრუნარმოდგენის პირობებში ამა თუ იმ ქალის სცენაზე გამოსვლა ზნეობრივად მიუღებელი იყო.

გ. თუმანიშვილი ეხება რა ამ გარემოებას, მოგვითხრობს: „გვიხდებოდა სულ ახალ-ახალთა ძებნა. ერთი ნიჭიერი აღმსრულებელი ახალთა შორის უკვე ვიპოვეთ. ეს არის მ. მ. საფაროვი, რომელიც განაგრძობდა ჩვენს წარმოდგენებში თამაშობას და სულ უფრო იპყრობდა საზოგადოების სიმპათიებს. საქმე ის იყო, რომ ნათესავეებმა ნება მისცეს მას შესულიყო მომავალ მუდმივ დასში, როგორც პროფესიონალი მსახიობი, მხოლოდ იმ პირობით, თუ იმ დროისთვის გათხოვდებოდა.“

აქედან ჩანს, თუ რა რთული იყო მაშინ ქალისთვის ამ პროფესიის არჩევა, მაგრამ მაკო საფაროვამ ეს შესძლო, თავისი უანგარო სიყვარული ჩადო ამ სფეროში და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდეც მისი ერთგული დარჩა.

მაკო საფაროვა-აბაშიძისა იყო ერთი იმ მოღვაწეთაგანი, რომლებმაც ჩვენი სცენის სხვა კორიფეებთან ერთად XIX საუკუნის ოთხმოციანი წლების თეატრის ისტორიაში „ოქროს ხანა“ შექმნა.

მარიამ (მაკო) საფაროვა 1860 წლის 18 თებერვალს ქ. თელავში დაიბადა.

მარიამის მამა, მიხეილ სოლომონის ძე საფაროვი, ქართველი გრიგორიანი იყო. მის წინაპარს, რაღაც მიზეზის გამო, გრიგორიანული სარწმუნოება მიუღია. წოდებით აზნაური, ქართველ თავად-აზნაურთა საკრებულოშიც ირიცხებოდა, თავისი ოჯახით სოფელ გავაზში (ყვარლის ახლოს) ცხოვრობდა. დედა – სალომე ივანიშვილისა კარგი მეოჯახე და განათლებული ქალი გახლდათ, მან კარგად იცოდა ქართული ენა და ლიტერატურა.

პატარა მაკო სამ წლამდე მამის ოჯახში იზრდებოდა. ამ ხნის განმავლობაში დედ-მამას შვილები ზედიზედ შეეძინათ. მშობლებისთვის მათი გაზრდა ძნელი შეიქმნა, ამიტომაც ბავშვი გასაზრდელად ბებია ნინომ წაიყვანა.

ნინო (მაკო საფაროვას ბებია) ოჯახის გვირგვინი იყო. იგი გახლდათ ძველი დარბაისელი ქალი, რომელსაც კარგად ჰქონდა შესწავლილი ქართული მწერლობა, ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“, საღვთისმეტყველო და საერო ლიტერატურა. პირველი ქმრის (ივანიშვილის) გარდაცვალების შემდეგ, ის სოლომონ ჭავჭავაძეს გაჰყვა ცოლად, რომელიც ყვარელში ცხოვრობდა.

მეორე ქმრიდან ნინოს ორი ქალი ჰყავდა: კატო, რომელიც შემდეგ ოფიცერ აბელოვს (აბელაშვილს) მისთხოვდა, და ლიზა, რომელიც ჩვენი დიდი მწერლის და საზოგადო მოღვაწის, ილია ჭავჭავაძის სატრფო იყო. სწორედ მას უძღვნა პოეტმა თავისი შესანიშნავი ლექსი: „გახსოვს, ტურფავ, ჩვენს დიდ ბაღში მე და შენ რომ ერთად ვრბოდით?“. მათი სიყვარული ქორწინებით ვერ დასრულდა. შემდეგში ლიზა ცოლად გაჰყვა ოფიცერ ალექსანდრე მარჯანიშვილს. ისინი კოტე მარჯანიშვილის მშობლები იყვნენ.

ბავშვობის წლები ცოცხლად იქნა შემონახული მაკოს მეხსიერებაში, უკვე ღრმა მოხუცებულობის დროსაც და თავის მემუარებში ნათლად აგვიღწერს ყვარელში ცხოვრების პერიოდს, სადაც, თავისი ძმებისგან განსხვავებით, ფუფუნებაში იზრდებოდა.

მაკო ჭავჭავაძეების ოჯახთან ერთად თბილისში გადადის საცხოვრებლად. სწორედ აქედან იწყება მის ცხოვრებაში ახალი ხანა. იგი ეცნობა ქართველ ინტელიგენციას, რომლებიც მათი ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ, ესენია: აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი,

გრიგოლ წერეთელი და სხვები. ზოგჯერ მათ ილიაც სტუმრობდათ. მემუარებში მაკო შესან-  
იშნავად აღწერს, თუ როგორ დაუახლოვდა თითოეულ მათგანს, განსაკუთრებით კი აკაკის,  
რომელმაც დიდი როლი შეასრულა მის ცხოვრებაში. მაკო იხსენებს, თუ როგორ წაიყვანეს იგი  
აკაკიმ და სერგეი მესხმა გიორგი თუმანიშვილთან და მისი სასცენო ნათლობაც შედგა.

მარიამ საფაროვა-აბაშიძისა თითქმის ნახევარი საუკუნე ერთგულად ემსახურა ქარ-  
თულ სცენას. მისი პირველი დებიუტი 1878 წლის 27 ოქტომბერს შედგა გერმანელთა კლუბის  
სცენისმოყვარეთა წარმოდგენაში, როდესაც მოლიერის პიესაში „ჟორჟ დანდენი“ კლოდინას  
როლი ითამაშა.

1879 წელს იგი მუდმივმოქმედი თეატრის წევრი ხდება. სწორედ ამ დროიდან ეწოდება  
მას „პირველი კომიკური და ვოდვეილური აქტრისა.“ თუმცა არც ტრაგედიებსა და დრამებში  
მონაწილეობაზე ამბობდა უარს. ხშირად გამოდიოდა ოპერეტებშიც. მაკო საფაროვა-აბაშიძემ  
ნატო გაბუნიასთან, ვასო აბაშიძესთან, ლადო მესხიშვილთან ერთად განსაზღვრა მე-19 საუ-  
კუნის მეორე ნახევრის თეატრალური ესთეტიკა, ქართული თეატრის სამსახიობო ხელოვნების  
სტილისტიკა.

მუდმივმოქმედ თეატრს პირველი წერილი ილია ჭავჭავაძემ უძღვნა, რომელსაც არც  
ერთი თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოვლენა არ გამოეპარებოდა. 1879 წლის აპრილში  
„შინაურ მიმოხილვაში“ („ქართ. ნიგნის“ გამოც., მე-IV ტ., გვ. 64) იგი ვრცლად შეეხო თეატრსა  
და წარმოდგენებს, პიესების ავკარგიანობას და ბოლოს ამბობს: „აქტიორების ღირსებაზედ  
ჯერ-ხანად არა ითქმის რა, ჯერ უჩვევნი არიან ბევრი მათგანი და იმედია, რომ გაინვრთნებიან.  
ხოლო წარმომადგენელთა შორის ერთია, რომლისთვისაც ღმერთს მიუმაღლებია დიდი ნიჭი.  
მაგ ნიჭის პატრონი საფაროვის ქალია. ეს ისეთი აქტრისაა, რომელიც ჩვენი სცენის თვალი  
იქნება, თვალი! ამ აზრისანი არიან ყველანი, ვისაც კი საფაროვის ქალი სცენაზედ უნახავს.  
ყოველ სიკეთესთან ერთი სიკეთეც სჭირს, რომ მშვენიერი ქართული გამოთქმა აქვს და ეს სიკ-  
ეთე ეხლანდელ დროში, როცა ქართული აღარავის ახსოვს, მეტად ძვირფასი რამ არის.

ილიამ უმნიშვნელო სიტყვების ხმარება არ იცოდა, და თუ მან დაწერა „ყოველ სიკეთეს-  
თან“ და არა „ბევრ“ ან „მრავალ სიკეთესთან“, იგი გულისხმობდა, რომ მაკო საფაროვა მაღლ-  
მოსილია ყველა იმ თვისებით, რაც მსახიობს სრულყოფილ ხელოვნად აყალიბებს.

მაკო საფაროვა-აბაშიძემ უამრავი სცენური სახე შექმნა. ვრცელია მისი გმირების  
გალერეა: გლეხი გოგო ღიზა, მაშუა გოგო (ავტ. ცაგარელის „რაც გინახავს-ველარ ნახავ“, „ციმ-  
ბირელი“), მოლიერის კომედიებში (კლოდინა, ტუანეტა), ნატალია, ეფემია (გ. სუნდუკიანის  
„ხათაბალა“, „პეპო“), ლუიზა („ორი ობოლი“), ოფელია, კორდელია, დეზდემონა (უ. შექსპირის  
„ჰამლეტი“, „მეფე ლირი“, „ოტელო“), თალიკო (აკ. წერეთელის „ბაიყუში“), გიმნაზიელი გოგო  
(„ბნელ ოთახში“) და მრავალი სხვა.

ამ და სხვა სასცენო როლების შესრულებისთვის მაკო საფაროვას ჰქონდა უნიკალური  
სასცენო ნიჭი და ფიზიკური მონაცემები. აი როგორ ახასიათებს ილია ზურაბიშვილი მსახიობს  
თავის ნიგნში „ოთხი პორტრეტი“: „ფიგურა მორჩილი, მაგრამ უნაკლო, პროპორციული აღნა-  
გობისა. პირველ წლებში ნაზი, სათუთი. დაქალებაში – ზომიერად ხორცსავსე, მაგრამ მოქნი-  
ლი და ელასტიური. ეს ელასტიურობა იყო, რომ ასიკო ცაგარელმა ათქმევინა თავის პეტრუას  
(„ციმბირელში“) მაშუა გოგოსთვის: „უჰ, შენ კი გენაცვალე ემაგ წელში... მაკარონივით რომ იმ-  
ტვრევი!“ მორჩილი ფიგურა, რომელიც მსახიობს შესაძლებლობას აძლევდა დღეს 15-16 წლის  
გოგონა თუ 13 წლის ბიჭი განესახიერებინა, სინამდვილის სრული ილუზიით („ბნელ ოთახში“,  
„გულმა იგრძნო“, „პარიზელი ბიჭი“ და სხვა), ხვალ კი თბილისელი მოქალაქის ფაფუკი, ტანაყ-  
რილი, თითქმის ფაშფაშა მეუღლე, ან ევროპელი გრან-კოკეტი“.

ყველა სხვა სიკეთესთან, ილიას თქმისა არ იყოს, მაკოს კიდევ ერთი ღირსებაც ჰქონდა:  
ეს იყო ეგრეთწოდებული „გრძნობა ზომიერებისა“; არასდროს არავითარი გადაჭარბება, არას-  
დროს გატაცება რომელიმე სცენიური ეფექტით. იგი მხატვრული ალლოთი გრძნობდა ავტო-  
რის ჩანაფიქრს და სხვა მსახიობებივით არ მიჰყვებოდა სიტუაციის გამაზვიადებელ ტალღას.

მაკო საფაროვა-აბაშიძე მთლიანად იხარჯებოდა თეატრისთვის და, რა გასაკვირია, რომ  
პირადული ცხოვრება, კომფორტი და მოსვენება უცხო იყო მისთვის. სცენისთვის თავდადე-  
ბულ ქალბატონს საშინელი უბედურება დაატყდა თავს – სმენის პრობლემები შეექმნა. როდე-  
საც მაკომ ისე დაჰკარგა სმენა, რომ პარტნიორის ხმა აღარ ესმოდა, გადაწყდა მისი ბედი, იგი  
საბოლოოდ გამოემშვიდობა სცენას.

1912 წლის იანვარში, მას სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილე გაუმართეს.

1923 წლის 2 იანვარს ის უკანასკნელად გამოვიდა რუსთაველის დრამატული თეატრის  
სცენაზე, კოტე მარჯანიშვილის მიერ დადგმულ სპექტაკლში, „მზის დაბნელება საქართველო-  
ში“ (ავტ. ზ. ანტონოვი).

1925 წელს მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის წოდება.

მაკო საფაროვა-აბაშიძე გარდაიცვალა 1940 წლის 11 დეკემბერს. დაკრძალულია ვაკის  
სასაფლაოზე.

## მაკო საფაროვა-აბაშიძის პირადი საარქივო ფონდი

### ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. თელავის საქალაქო სასწავლებლის საქველმოქმედო საზოგადოების წარმომადგენლის სამადლობელი მიმართვა მ. საფაროვა-აბაშიძისადმი, მათ მიერ გამართულ კონცერტში მონაწილეობის გამო. [ჩატარდა 1887 წ. 14 ნოემბერს].

1887 წ. 16 ნოემბერი. ხელნაწერი. შავი მელანი. ბლანკი. რუსულ ენაზე. 1 ფ.

2. მარიამ საფაროვა-აბაშიძის თხოვნა ქუთაისის ქალაქის მმართველობისადმი, რათა ნება დაერთოს მას ქალაქის თეატრის (ყოფილი ხაზაროვის თეატრი) 8 წლის ვადით გადაცემის შესახებ. მოხსენებელია, რომ ამ პერიოდში შესრულებული იქნება ყველა ნაკისრი ვალდებულება და პირობა.

1895 წ. 16 ივნისი. ხელნაწერი. დამონმებული დედანთან 1937 წ. 7 ოქტომბრით, ქუთაისის ოლქის არქივ-ბიუროს მიერ. ხელმოწერა არ იკითხება. ფანქარი. რუსულ ენაზე. 2 ფ.

3. მაკო საფაროვა-აბაშიძის თხოვნა ქუთაისის ქალაქის მმართველობისადმი, რათა ნება დაერთოს ქალაქის თეატრის დაქირავებაზე (ყოფილი ხაზაროვის თეატრი). მითითებულია იმ ვალდებულებების შესახებ, რასაც მარიამ საფაროვა იღებს თავის თავზე თეატრის კეთილმოწყობისთვის.

პირი: ბესარიონ დიმიტრის ძე ჟღენტი.

1895 წ. 14 ივნისი. ავტოგრაფი. ლურჯი მელანი. 2 ფ.

4. მაკო საფაროვასადმი გაცემული ამონაწერი თბილისის სანოტარო არქივიდან, მიწების შესყიდვის შესახებ.

1898 წ. ხელნაწერი. შავი მელანი. შტამპით, გერბით, ბეჭედდამული ჭვირნიშნისანი ფურცელი. დამონმებული თბილისის სანოტარო არქივის მიერ. ხელმოწერა არ იკითხება. რუსულ ენაზე. 2 ფ.

5. ქართული დრამატული საზოგადოების სახელით, ვასილ სულხანიშვილის წერილი მაკო საფაროვა-აბაშიძისადმი. სთხოვს წარმოდგენაში (?) მონაწილეობის მიღებას.

1899 წ. 20 ოქტომბერი. ხელნაწერი. მელანი. შტამპით. რესტავრირებული. ხელნაწერს ერთვის რესტავრაციის აღმწერი ფურცელი, ლაბორატორიის გამგის ხელმოწერით. 1 ფ.

6. ურთიერთდამხმარე საზოგადოების სამმართველოს სამადლობელო მიმართვა მაკო საფაროვა-აბაშიძისადმი. მადლობას უხდის საზოგადოების ფონდის გაძლიერებისთვის სპექტაკლში მონაწილეობით, რომელიც შედგა 1902 წ. 12 მაისს.

1902 წ. 20 მაისი. ხელნაწერი, შავი მელანი. ბლანკი. ხელს აწერს: საზოგადოების თავმჯდომარე – კ. ალიხანოვი. რუსულ ენაზე. 2 ფ.

7. მარიამ საფაროვა-აბაშიძისადმი მიძღვნილი მიმართვა მისი ნიჭის უცნობი თავყვანისმცემლისგან.

1903 წ. 30 იანვარი. დასტამბული. 1 ფ.

8. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის თხოვნა მარიამ საფაროვა-აბაშიძისადმი, თბილისის საკრებულოში გამართულ წარმოდგენაში („ბიძიასთან გამოხმაურება“) მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით.

1907 წ. 6 დეკემბერი. ქ. თბილისი. ხელნაწერი. მელანი. ბლანკი. ხელს აწერს: თავმჯდომარის მოადგილე – ნ. ცხვედაძე, მდივანი – ს. ფირცხალავა. 1 ფ.

9. ქართული დრამატული საზოგადოების მიმართვა (კონკრეტული საზოგადოებისადმი ან პირისადმი?) მარიამ საფაროვა-აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის 30 წლის საიუბილეო საღამოს მოწყობასთან დაკავშირებით.

1912 წ. დასტამბული. თავფურცელზე მაკო საფაროვას ფოტო. 2 ეგზემპლარი.

მეორე ეგზემპლარი ქართულ და რუსულ ენებზე. 2 ფ.

10. მარიამ საფაროვა-აბაშიძის პროფკავშირების წიგნაკი – სასცენო მოღვაწეთა კავშირი აბრევიატურით „рабис“.

1921წ. დამონმებულია ბეჭდით. დაზიანებული (ჩაკრულია მარიამ საფაროვა-აბაშიძის

სურათი). რუსულ ენაზე.

11. მხატვრულ მეცნიერებათა სახელმწიფო აკადემიის თეატრალური სექციის თხოვნა მაკო საფაროვა-აბაშიძისადმი ანკეტის შევსების შესახებ.

1925 წ. 28 ოქტომბერი. ქ. მოსკოვი. ხელნაწერი. შავი მელანი. რუსულ ენაზე. 2 ფ.

12. საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მოწმობა. მოწმობა ადასტურებს, რომ მარიამ საფაროვა-აბაშიძისა ნამდვილად არის სახალხო კომისარიატის პერსონალური პენსიონერი და ლეზულობს თვეში 250 მან. ცნობა ეძლევა სამედიცინო დანებსებულებაში („ლეჩკომბინატში“) წარსადგენად.

1935 წ. 25 მაისი. ნაბეჭდი. შევსებულია მელნით. დამონმებული ბეჭდით. 1 ფ.

13. საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მოწმობა. რომელიც ადასტურებს, რომ მარიამ საფაროვა-აბაშიძისა ნამდვილად არის სახალხო კომისარიატის პერსონალური პენსიონერი და ლეზულობს თვეში 250 მან.

1936 წ. აგვისტო. ხელს აწერს: სახ. სოც. უზრუნველყოფის სექტორი: გ. მერკვილაძე (?) მდივანი – (გვარი არ იკითხება). ნაბეჭდი. შევსებულია მელნით. დამონმებულია ბეჭდით. 1 ფ.

14. მარიამ საფაროვა-აბაშიძის მიმართვა ხელოვნების სახლის დირექციისადმი, ვლადიმერ მესხიშვილის ხსოვნის საღამოს აღნიშვნის შესადებ.

1938 წ. 7 აპრილი. დ. ჩხეიძის ავტოგრაფი. მელანი. 8 ფ.

15. მარიამ საფაროვა-აბაშიძის მიმართვა კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის არტისტებისადმი.

1939 წ. 15 იანვარი. ილია ზურაბიშვილის ავტოგრაფი. მელანი. 4 ფ.

16. მარიამ საფაროვა-აბაშიძის მიმართვა საქართველოს სათეატრო მუზეუმის დირექტორისადმი. სთხოვს გადადონ მუზეუმში დანიშნული 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო მისი ავადმყოფობის გამო.

1940 წ. 5 აპრილი. ხელნაწერი. მელანი. 2 ფ.

17. მაკო საფაროვა-აბაშიძის მიერ საქართველოს სათეატრო მუზეუმისათვის გადაცემული ნივთების სია.

უთარილო. ნაბეჭდი. ხელს აწერს: მუზეუმის დირექტორი დ. არსენიშვილი. დამონმებული ბეჭდით. 2 ფ.

18. კოტე მესხის წერილი მაკო საფაროვა-აბაშიძისადმი, სადაც სთხოვს მონაწილეობა მიიღოს ვ. მოროსა და ს. სარდუს ოთხმოქმედებიან პიესაში: „მადამ სან-ჟენ“-ში.

უთარილო. ხელნაწერი. მელანი. ბლანკით მარჯვ. ზედა კუთხეში: „ქართული საზოგადოების გამგეობა“. რესტავირებული. ხელნაწერს ერთვის რესტავრაციის აღმწერი ფურცელი, ლაბორატ. გამგის ხელმოწერით. 1 ფ.

19. მარიამ საფაროვა-აბაშიძის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები და დახასიათება.

უთარილო. ნაბეჭდი. 7 ფ.

20. მარიამ საფაროვა-აბაშიძის განცხადება. რუსთაველის თეატრის გამგეს დათიკო ჩხეიძეს სთხოვს წარმოდგენის გასამართად ერთი დღის დანიშვნას.

უთარილო. 28 აპრილი. ავტოგრაფი. მელანი. ჭვირნიშნისანი. 1 ფ.

21. მარიამ საფაროვა-აბაშიძის მიმართვა იოსებ ზაქარიას ძე ანდრონიკაშვილის საიუბილეო კომიტეტს [მადლობას უხდის ანდრონიკაშვილების ოჯახს ქართული თეატრის განვითარებისთვის განეული ღვაწლისთვის და სწუხს, რომ ავადმყოფობის გამო პირადად ვერ ულოცავს იუბილარს].

უთარილო. სათეატრო მუზეუმის საქმ. მმართველის როსტომაშვილის ავტოგრაფი. მელანი. დამონმებულია ბეჭდით. 1 ფ.

## შემაჯავებელი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

22. ადრესი მარიამ საფაროვა-აბაშიძისადმი.

1883 წ. 22 ივნისი. ქ. ბათუმი. ხელს აწერენ: კნენინა დ. დადიანისა, კნ. კ. ერისთავისა, ქ. ჟუ-რულისა, დ. გაბაშვილისა, თავადი მ. ლორთქიფანიძე, თავ. ი. აბაშიძე, თავ. ი. წულუკიძე, თავ. ს. ერისთავი, თავ. ს. ამირეჯიბი, კ. შანშიევი, ი. პუკულა, მ. ზედგინიძე, დ. კლდიაშვილი, მ. ნათაძე. პოლიგრაფიული ნაბეჭდი. 1 ფ.

23. მარიამ საფაროვა-აბაშიძის ჩანაწერები მის მიერ შესრულებული როლების შესახებ: 1. „ორი ობოლი“ – ლიუზა; (მოქმ. I. სურ. I). 2. „ბიძიასთან გამოსუმრება“. 3. „აღლუმი“ – ნუცა. 4. „ხანუმა“ – სონა. I. მოქმ. 5. „ხანუმა“ – სონა. II მოქმ. 6. „პეპო“ – ეფემია. 7. „ად-ვოკატან“ – ნაზიანი; „ბნელ ოთახში“ – საშენკა. 8. „ბარაქალა მასწავლებელი“ – თიკო. 9. „თავხედი“ – ლიუზა. (მოქმ. I. გამოსვლა X. 1900 წ.) 10. „ახირებული“ – ლიუზა. (მოქმ. I გამოსვლა I.) 11. „ტურლივეს“ როლში (მოქმ. I გამოსვლა I სურ. 2. 1896 წ. 10 იანვარი) 12. ფრაგმანტი პიესიდან (?) 13. „მშვიდობით ოცნებავ“ – (3 წაწილად დაკეცილი თაბახის ფურცელი, ძლიერ დაზიანებული. აქვე მითითებულია რეკვიზიტები).  
1896-1900 წწ. ხელნაწერი. შავი მელანი. 67 ფ.

24. უცნობი ავტორის ლექსი, მიძღვნილი საფაროვა-აბაშიძისადმი მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით.  
1907 წ. ხელნაწერი. შავი მელანი. 2 ფ.

25. ვინმე „უსუსური“-ს ფსევდონიმით მიძღვნილი ლექსი მარიამ საფაროვა-აბაშიძისადმი.  
1912 წ. 15 მაისი. ოზურგეთი. ხელნაწერი. შავი მელანი. დაზიანებული (არასტანდ. 1 გრძელი ფურცელი)

26. ქუთაისის რეალური სასწავლებლის მოსწავლის – შალვა ლამბაშიძის მისალოცი სიტყვა მაკო საფაროვა-აბაშიძისადმი მისი სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით.  
1912 წ. 17 (ივლისი?) ივანობისთვე. ყვირილა. ხელნაწერი. შავი მელანი (ფოტოპირი, ფოტო ბაბოვისა. ჟურნალი „საბჭ. ხელოვნება“.). 2 ფ.

27. ნაძალადევის სახალხო თეატრის რუსული წრის მილოცვა მარიამ საფაროვა-აბაშიძისადმი, მისი სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით.  
1912 წ. 4 მარტი. ხელნაწერი. შავი მელანი. რუსულ ენაზე. 2 ფ.

28. გაზ. „თემი“-ში 57 დაბეჭდილი მარიამ საფაროვა-აბაშიძის სამადლობელი სიტყვა მისი სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ამონერილი სათეატრო მუზეუმის საქმეთა მმართველის გ. როსტომაშვილის მიერ.  
1912 წ. სათეატრო მუზეუმის საქმართველის გ. როსტომაშვილის ავტოგრაფი. მელანი. დამონებულია ბეჭდით.

29. თბილისის სახალხო თეატრის უკრაინული დრამატული სექციის ადრესი მარიამ საფაროვა-აბაშიძისადმი.  
1912 წ. ხელნაწერი. მელანი. ხელს აწერს: უკრაინის დრამატული წრის თავმჯდომარე (ხელმოწერა არ იკითხება). 1 ფ.

30. მარიამ საფაროვა აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებული მისალოცი ადრესები:

### დოკუმენტების მიმღებრობითი აღწერილობა:

ოდესის ქართველი სტუდენტებისგან. ხელს აწერენ: ელენე ასლანიშვილი, ვარდიკო მოსეშვილი, ნატაშა ვაჩიშვილი, სოსო ასლანიშვილი, გ. ხორომანსკი, სოსო მაჭავარიანი, დიმიტრი მეფისაშვილი, მიშა იაშვილი, ტარასი თურმანიძე, ნიკო მაჭავარიანი, კონია ჯაფარიძე, თ. დადემქელიანი, ა. წერეთელი, მ. რატანი, რ. იშხნელი, ნინო მიქელაძე, რეზო მაჩაბელი და სხვები. [ხელნ. მელნით, 2 ფ. (2 გვ.) უთარილო].

გაზ. „კავკაზსკაია რეჩის“ რედაქციისგან [ხელნაწერი, მელანი. თბილისი. 1912 წ. 22 იანვარი].

სამტრედიის სცენის მოყვარულთა სახელით ს. ილორელისგან [ხელნაწერი. მელანი. 1 გვ. 1912 წ. 1 თებერვალი].

თბილისის ქალაქის მმართველობის მისალოცი დადგენილება. ხელს აწერენ: ქალაქის თავი, სამმ. წევრები და მდივანი (?) [დასტამბული. რუსულ ენაზე. 1 გვ.]

„ახალი კლუბი“-ისგან [ხელნაწერი. მელანი. 1 გვ. 1912 წ. 22 იანვარი.]

ავლაბრის თეატრის საბჭოსგან. თავმჯდომარე (?): წევრები (?). [ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ. 1912 წ. 22 იანვარი.]

თბილისის პირველ ვაჟთა გიმნაზიის მოწაფეებისგან [ხელნაწერი. მელანი. 1 გვ. 1912 წ. 22 იანვარი.]

მილოცვა ნინო ყიფიანისგან [ხელნაწერი. მელანი. 2 ფ. (2 გვ.) 1912 წ. 22 იანვარი.]

ნაძალადევის ახლადდაარსებულ სცენისმოყვარეთა წრისგან. წრის გამგეობის თავმჯდ. ა. ქობულაშვილი. წევრები: ნიკო ცილიკიშვილი, ბ. დვალაძე, გრ. ჩარკვიანი და სხვები. წრის გამგეობის მდივანი: იასონ ფანიაშვილი. [ხელნაწერი. მელანი. 1 გვ. 1912 წ. 22 იანვარი.]

სომხური სცენის მოღვაწეთა სახელით: (?) [ხელნაწერი. მელანი. 1 გვ. 1912 წ. თბილისი.]

მისალოცი ადრესი? სომხურ ენაზე. ხელმოწერებით. [1 გვ. უთარილო]

სომხურ წარმოდგენების მმართველი სცენის მოყვარულთა სექციისგან. თავ-რე: გ. ფირუმიანი. მდივანი: (?) [ხელნაწერი. მელანი. 1 გვ. 1912 წ.]

ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის წინამძღოლთა და დეპუტატთა მინდობილობით, დუშეთის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თავადი დ. გურამიშვილი. [ნაბეჭდი. 1 გვ. უთარილო.]

ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოების საბჭოსგან. თავ-რე: გრ. რცხილაძე, მდივანი: ი. ეკალაძე-ცინცაძე. [ხელნაწერი. მელანი. 1 გვ. 1912 წ. 22 იანვარი.]

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისგან [ხელნაწერი. მელანი. 1 გვ. უთარილო.]

ნაძალადევის სცენის მოყვარულთა წრისგან. ხელს აწერენ: წრის გამგეობის თავ-რე (?) მდივანი: იასონ ფანიაშვილი, წევრები: გრ. ჩარკვიანი, ზაქარია ლომოური და სხვ. [ხელნაწერი. მელანი. 1 ფ. (2 გვ.) 1912 წ. 4 მარტი.]

ჭიათურის ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობისგან. [ხელნაწერი. მელანი. 1 ფ. 1912 წ. 22 იანვარი.]

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისგან. ხელს აწერენ: იპ. ვირთაგავა, ლ. ბოცვაძე. [ხელნაწერი. მელანი. 2 ფ. უთარილო.]

თბილისი ხელოსანთა წარმომადგენლობის სახელით, ხელოსანთა თავი – კარაპეტ სერეზიანცი, წევრები: ი. ნ. მხეიძე, მ. ს. მელენჩუკი, ე. პ. ოთაროვი, ა. მიკირტუმოვი და სხვები. [ხელნაწერი. მელანი. 1 ფ. უკრაინულ ენაზე. 1912 წ. 22 იანვარი.]

ქუთაისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელთა კორპორაცია. ნაბეჭდი. 1 გვ. 1912 წ.

გორის ქართველი საზოგადოება. ქ. გორი. [ხელნაწერი. მელანი. 1 გვ. 1912 წ. 22 იანვარი.]

31. თელავის საზოგადო საკრებულო დარბაზში შემდგარი ორი წარმოდგენა მაკო საფაროვა-აბაშიძის მონაწილეობით. I წარმოდგენა – ბაიაჩის კომედია „პარიზელი ბიჭი“ – 2 მოქმ. II წარმოდგენა – ვოდევილი: „გულმა იგრძნო“, (მაკო საფაროვა-აბაშიძის თარგმანი) 1913 წ. 25 აგვისტო. ნაბეჭდი. 2 ფ.

32. მისალოცი ღია ბარათი საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტისაგან, მაკო საფაროვა-აბაშიძისადმი, მისთვის რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით.

1925 წ. 17 მაისი. ხელს აწერს: წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარე – პ. კიკალიშვილი. ნაბეჭდი. 2 ფ.

33. ნინო ყიფიანის მისასალმებელი სიტყვა მარიამ საფაროვა-აბაშიძისადმი, მისთვის საქართველოს სახალხო არტისტის წოდების მინიჭების გამო.  
1925 წ. 17 მაისი. ხელნაწერი. ლურჯი მელანი. 2 ფ.

34. მარიამ საფაროვა-აბაშიძის მისასალმებელი სიტყვა საიუბილეო კომიტეტისა და იოსებ ზაქარიას ძე ანდრონიკაშვილისადმი. მადლობას უხდის ქართული მუდმივმოქმედი თეატრის მოღვაწეების დახმარებისა და თანაგრძნობისათვის. სწუხს, რომ ავადმყოფობის გამო პირადად ვერ ულოცავს მას.  
1926 წ. 8 თებერვალი. ხელნაწერი. შავი მელანი. 1 ფ.

35. მარჯანიშვილის თეატრის ახალგაზრდა მსახიობთა მიმართვა მაკო საფაროვა-აბაშიძისადმი სპექტაკლ „დები ჟერარის“ დადგმასთან დაკავშირებით.  
1939 წ. 20 მაისი. თბილისი. ხელნაწერი. ხელს აწერენ: დოდო თოდრია, ვალერიან შენგელია, ვასო კახნიაშვილი, ივანე ქურხული, მირიან სარქისოვი, გ. ბასილაია, გრიგოლ კობიაშვილი, გოგი კიკვაძე, ალექსი ჩხეიძე. ხელნაწერი. ლურჯი მელანი. 1 ფ.

36. სსსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მილოცვა მარიამ საფაროვა-აბაშიძისადმი დაბადებიდან 80 წლის იუბილეს აღსანიშნავად.  
1940 წ. 25 თებერვალი. ნაბეჭდი. 1 ფ.

37. საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის მილოცვა მარიამ საფაროვა-აბაშიძისადმი, მისი 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით.  
1940 წ. 24 თებერვალი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის მდივანი – ირაკლი აბაშიძე. 1 ფ.

38. რუსთაველის თეატრის დირექციისა და მსახიობების მილოცვა მარიამ საფაროვა-აბაშიძისადმი, მისი 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით.  
1940 წ. 24 თებერვალი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: რუსთაველის თეატრის დირექტორი, სამხატვრო ხელმძღვანელი, სსრკ სახალხო არტისტი – ა. ვასაძე. 1 ფ.

39. საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მილოცვა მაკო საფაროვა-აბაშიძისადმი 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით. აღნიშნულია საბჭოთა ხელისუფლების ღვაწლი ქართული თეატრის განვითარების საქმეში.  
1940 წ. 25 თებერვალი. ნაბეჭდი. 1 ფ.

40. ელისაბედ ჩერქეზიშვილის სიტყვა, წარმოდგენილი მ. საფაროვა-აბაშიძის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით.  
1940 წ. 7 აპრილი. ხელნაწერი. ხელს აწერს: მუზეუმის თანამშრომელი – თ. ჭავჭავაძე. მელანი. 4 ფ.

41. მარიამ საფაროვა-აბაშიძის სიტყვა მის იუბილეზე. [მადლობას უხდის დამსწრე საზოგადოებას დაფასებისთვის და აღნიშნავს, რომ ავადმყოფობის გამო ეს მისი უკანასკნელი გამოსვლაა აუდიტორიის წინაშე.]  
უთარილო. ავტოგრაფი. ლურჯი მელანი. 2 ფ.

42. პიესა „პარიზელი ბიჭი“. [გადაწერილია მარიამ საფაროვა-აბაშიძის მიერ.]  
უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. (აკინძული, 29-ე გვ. ამოვარდნილი) ჩასწორებული ლურჯი და წითელი მელნით. 37 ფ.

43. მარიამ საფაროვა-აბაშიძის სიტყვა გაგზავნილი ელისაბედ ჩერქეზიშვილის 50 წლის იუბილეზე. [მაკო საფაროვა ავადმყოფობის გამო ტექსტის წაკითხვა დაევალა დავით ჩხეიძეს.]  
უთარილო. დ. ჩხეიძის ავტოგრაფი. ლურჯი მელანი. ფანქარი. 2 ფ.

44. სახალხო სახლის სომხური წარმოდგენების მმართველი სცენის მოყვარულთა სექციის მილოცვა მარიამ საფაროვა-აბაშიძისადმი სასცენო მოღვაწეობის 32 წლის იუბილეს გამო.  
უთარილო. ხელნაწერი. შავი მელანი. ძლიერ დაზიანებული. 1 ფ.

45. ი. მჭედლიშვილის ლექსი მიძღვნილი მარიამ საფაროვა-აბაშიძისადმი. ნაკითხული მისი 30 წლის იუბილეზე.

უთარილო. ხელნაწერი. შავი მელანი. 1 ფ.

46. მარიამ ლუკაშვილის ლექსი მიძღვნილი მაკო საფაროვა-აბაშიძისადმი. ნაკითხული მისი სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

უთარილო. ხელნაწერი. ლურჯი მელანი. 1 ფ.

47. გაზ. „თემის“ რედაქციის თანამშრომელთა და ასოთამწყობთა სახელით, ამავე გაზეთის თანამშრომლის ბ. მ. წულუკიძის მიერ ნაკითხული ადრესი მაკო საფაროვა-აბაშიძის სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილეზე.

უთარილო. ნაბეჭდი. დაზიანებული. 2 ფ.

## მოგონებები

48. მოგონება მიძღვნილი მარიამ საფაროვა-აბაშიძისადმი, დაწერილი ბიბლიოგრაფ ა. ყ. ლომიძის მიერ. [გარდა ბიბლიოგრაფიული ცნობებისა (გაზ. „თემი“-ს სარედაქციო წერილი 55, 23/1 1912 წ.) შესულია: ამონაწერები მაკო საფაროვას სცენაზე მოღვაწეობის შესახებ /1879-1906 წწ./; აკაკი წერეთლის, ვალერიან გუნიას, მ. წულუკიძის მისასალმებელი სიტყვები და სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილეს მასალები /1912 წ./. სოფრომ მგალობლიშვილის, პეტრე უმიკაშვილის, ილია ზურაბიშვილის მოგონებები; ალ. ბურთიკაშვილის, სერგო გერსამიას ნარკვევები. საგაზეთო სტატიები: აკაკი წერეთლის წერილი გაზეთ „თემში“, გაზ. „კომუნისტი“ – მარიამ საფაროვა-აბაშიძის ცხოვრების გზა /1940 წ. 5 თებერვალი/; აგრეთვე ცნობები მარიამ საფაროვა-აბაშიძის დაკრძალვის შესახებ გაზეთ „კომუნისტი“-დან. შალვა დადიანის სიტყვა დაკრძალვის დღეს.

1957 წ. ნაბეჭდი. აკინძული ნიგნად. 333 ფ.

49. ერთ-ერთი თავყანისმცემლის მონათხრობი. იგონებს როგორი სიძლიერითა და ოსტატობით წარმოთქვა ფრაზა „მრცხვენია ღმერთამნი“ უკვე სმენადაკარგულმა მსახიობმა, აგრეთვე იხსენებს სავინას მიერ საფაროვა-აბაშიძის შემოქმედების შეფასებას; მთხრობელი ესწრებოდა მაკო საფაროვა-აბაშიძის დაბადებიდან 80 წლის იუბილეს.

უთარილო. ნაბეჭდი. 4 ფ.

50. მარიამ საფაროვა-აბაშიძის მოგონებები: 1. აკაკი წერეთელთან შეხვედრის შესახებ (გვ. 5-6); 2. სერგეი და ივანე მესხების შესახებ (გვ. 6-7); 3. ვასო აბაშიძის შესახებ (გვ. 9-10); 4. სანდრო ყაზბეგის შესახებ (გვ. 13-23); 5. ნატო გაბუნია-ცაგარელის შესახებ (გვ. 31-33); 6. ბაბო ავალიშვილი-ხერხეულიძის შესახებ (გვ. 34); 7. მაშო ყიფიანი-ქართველიშვილისა და მაშო მძინაროვას შესახებ (გვ. 34); 8. ბაბო კორინთელი-ყიფშიძის შესახებ (გვ. 34); 9. ქეთო ანდრონიკაშვილის შესახებ (გვ. 35); 10. კოტე მესხის შესახებ (გვ. 36-38);

უთარილო. ილია ზურაბიშვილის ავტოგრაფი. ფანქარი. 38 ფ.

51. მაკო საფაროვა-აბაშიძის მემუარების შავი ხელნაწერი: I. ავტოგრაფიული ცნობები; II. აკაკის გაცნობა. პირველ სპექტაკლზე დასწრება და შთაბეჭდილებები. პირველი რეპეტიცია იოსებ ანდრონიკაშვილის სახლში, სადაც ეცნობა ვასო აბაშიძეს, კოტე ყიფიანს, შაშნიაშვილსა და ავალიშვილს.

უთარილო. ხელნაწერი. ფანქარი. მელანი. 6 ფ.

52. მემუარები. მაკო საფაროვა-აბაშიძე იგონებს სოფელ ბეჟანიანს, მამას და თავის სიყმანვილეს; აქვეა მოგონებები ლადო მესხიშვილსა და კოტე ყიფიანზე.

უთარილო. ხელნაწერი. შავი და ლურჯი მელანი. 2 ფ.

53. მემუარები. მაკო საფაროვა-აბაშიძე იგონებს, თუ როგორ გადავიდა საცხოვრებლად სოლომონ ჭავჭავაძის ოჯახში. საუბრობს სოლომონის პიროვნულ თვისებებზე; იგონებს პირველი შეხვედრა აკაკისთან. სერგეი მესხის მიერ ყმანვილი მაკოს პირველი მიპატიჟება სპექტაკლზე; წარდგენა გიორგი თუმანიშვილთან; ანასტასია წერეთლის გაცნობა; სახლში ზაქარია ანდრონიკაშვილთან – პირველი როლის შესწავლა.

უთარილო. ხელნაწერი. ლურჯი მელანი. 3 ფ.

54. მემუარები. მაკო საფაროვა-აბაშიძე წერს, თუ რა სიღარიბის ზღვარზე იმყოფე-

ბა მაშინდელი ქართული თეატრი. როგორ განიცდიდა იგი კოსტუმების და დეკორაციების სიმცირეს. იხსენებს სანდრო ყაზბეგთან ურთიერთობას და კუროოს სპექტაკლში – „მეფე ლირი“ – რომელიც შეემთხვათ დიდ მწერალსა და ვასო აბაშიძეს.  
უთარილო. ხელნაწერი. ფანქარი. 3 ფ.

55. მემუარები. მაკო საფაროვა-აბაშიძე ხელნაწერში თავის თავს არაპროფესიონალ მწერალს უწოდებს და ბოდიშს უხდის მკითხველს „არალიტერატურული კილოთი“ ნაწერ-ისთვის. იგონებს ისტორიას კაბის შესახებ, რომელიც ადმინისტრატორ ადამ ჩუბინიშვილს სთხოვა სპექტაკლისათვის. [ამ ეპიზოდით იგი აგვიღწერს, თუ რა სიძნელეებთან იყო დაკავშირებული მაშინდელი თეატრის კოსტუმირება.]  
უთარილო. ხელნაწერი. ფანქარი (გრძელი, არასტანდარტული). 2 ფ.

56. მოგონებები სანდრო ყაზბეგზე.  
უთარილო. ხელნაწერი. ლურჯი მელანი. 1 ფ.

57. მემუარები. ფრაგმენტი. იხსენებს კოტე მარჯანიშვილის დაბადებას. [ფურცლის მე-2 გვერზე მინერილია ლექსის ერთი სტროფი მიძღვნილი მაკო საფაროვა-აბაშიძისადმი. ავტორი (?)]  
უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი. მელანი. 1 ფ.

58. მემუარები. მაკო საფაროვა-აბაშიძე იხსენებს ლადო მესხიშვილს, საუბრობს მის პიროვნულ თვისებებზე.  
უთარილო. ხელნაწერი. მელანი. 2 ფ.

59. მემუარები. ლაპარაკია კოტე და დიმიტრი ყიფიანების დიდ ამაგსა და დამსახურებაზე ქართული თეატრის მიმართ.  
პირი: ზაქარია ანდრონიკაშვილი, გიორგი თუმანიშვილი.  
უთარილო. ხელნაწერი. ლურჯი მელანი. ფანქარი. 4 ფ.

60. მემუარები. ფრაგმენტი. იხსენებს მამას, სოლომონ ჭავჭავაძის ოჯახს, დეიდებს, აკაკის, სერგეი მესხს.  
უთარილო. ხელნაწერი. ფანქარი. 1 ფ.

61. მემუარები. მარიამ საფაროვა-აბაშიძე იხსენებს შეხვედრას 10 წლის უნახავ მამასთან, აგრეთვე ძმის, შაქროს უდიდეს სიყვარულს თეატრისადმი.  
უთარილო. ხელნაწერი. ფანქარი. 1 ფ.

62. მემუარები. იხსენებს დედინაცვლის ჩამოსვლას ქალაქში, თუ როგორ მიიყვანა იგი ვინმე ბერიძემ მასთან სახლში.  
უთარილო. ხელნაწერი. ლურჯი მელანი. ფურცელი დაზიანებულია. 2 ფ.

63. მემუარები. /ფრაგმენტი/ საუბრობს პიროვნებაზე (?) რომელმაც მხოლოდ 2 სეზონი ითამაშა სცენაზე და შექმნა მშვენიერი სახეები: „ყვარყვარე თუთაბერში“ – კაკუტა, „ჰოპლაში“ („ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“) – პროფესორი. მწუხარებას გამოთქვამს, რომ ამ პიროვნების სახით ქართულმა თეატრმა ნიჭიერი აქტიორი დაკარგა.  
უთარილო. ხელნაწერი. ფანქარი. დაზიანებული. 1 ფ.

64. მემუარები. საუბრობს თეატრზე. სწუხს, რომ ფიზიკური მდგომარეობა ხელს უშლის ემსახუროს საყვარელ საქმეს განახლებულ ეპოქაში.  
უთარილო ხელნაწერი. მელანი. 1 ფ.

65. მოგონებები გაბრიელ სუნდუკიანზე. გადმოგვცემს მისი გაცნობის პირველი შთაბეჭდილებას.  
უთარილო. ხელნაწერი. მელანი. ფანქარი (გადაჭრილი თაბახის ფურცლები). 5 ფ.

## პროგრამები

66. მარიამ საფაროვა-აბაშიძის ბენეფისის პროგრამა. I. მოქმ. წარმოდგენილი იქნა ვალერიან გუნისას 4 მოქმედებიანი კომედია „ალღუმი“. მონაწილეობდა მთელი დასი. II. მოქმ. კონცერტი. მონაწილეობდნენ ოპერის მსახ. გაშინსკისა, არციბაშევისა, შტიინბერკი, ტომა-

შევიჩი, სოლსკი, ბარათაშვილი.

1903 წ. 30 იანვარი. დასტამბული. ქართულ და რუსულ ენებზე. 2 ფ.

67. მარიამ საფაროვა-აბაშიძის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოს პროგრამები. პროგრამა-მოსაწვევი.

პირი: ა. ინაშვილი, გ. ბუხნიკაშვილი.

1940 წ. 7 აპრილი. დასტამბული. ოთხი ეგზემპლარი. 4 ეგზ.

68. მარიამ საფაროვა-აბაშიძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოს მოსაწვევი ბარათი-პროგრამა. საღამო დაინიშნა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის საკონცერტო დარბაზში.

1960 წ. 29 თებერვალი. ნაბეჭდი. 2 ფ.

### ჰისტორიული მიმკვიდრეობა

69. ილიკოს (ძმის) პირადი ხასიათის წერილი მაკო საფაროვა-აბაშიძისადმი.

1890 წ. 31 დეკემბერი. პარიზი. ხელნაწერი. შავი მელანი. ძლიერ დაზიანებული, ორივე ფურცელი გახეულია შუაზე. 2 ფ.

70. გინზბურგის წერილი მაკო საფაროვა-აბაშიძისადმი. სთავაზობს თავის სამსახურს ოპერეტის ჟანრში და უყენებს თავის პირობებს. რეკომენდაციას უწევს ვინმე ლიაპი (?)

1893 წ. 7 მაისი. ნოვოჩერკასკი. ხელნაწერი. შავი მელანი. რუსულ ენაზე. 2 ფ.

71. ოპერეტის მომღერალ ა. სმოლინას წერილი მაკო საფაროვა-აბაშიძისადმი. წერილში პირობებს უყენებს ერთ სეზონზე თბილისში საგასტროლოდ ჩამოსვლასა და საკონცერტო თანხებზე შეთანხმების შესახებ.

1893 წ. 5 ივნისი. ხელნაწერი შავი მელნით. წერილი ლოგოთი, ზედა მარცხ. კუთხეში. რუსულ ენაზე. 2 ფ.

72. ივანე მესხის წერილი მარიამ საფაროვა-აბაშიძისადმი. სთხოვს ჩასვლას ბათუმში „ქართულ საღამო“-ში მონაწილეობის მისაღებად.

1896 წ. 12 დეკემბერი. ხელნაწერი. შავი მელანი. ბლანკიანი. ძლიერ დაზიანებული. 2 ფ.

